საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/26 **16/10/2023**

რეკომენდაცია/დასკვნა უწყვეტი სამედიცინო განათლების ონლაინ-მოდულზე: „შაქრიანი დიაბეტის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“

ონლაინ სასწავლო მოდული „შაქრიანი დიაბეტის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ მომზადდა ხარისხის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ჩეხეთის კარიტასის პროექტის ფარგლებში “პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“.

იმის გათვალისწინებით, რომ შაქრიანი დიაბეტი ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც წარმოადგენს გავრცელებულ ქრონიკულ არაგადამდებ დაავადებას, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას, ჯანმრთელობის სისტემებსა და საზოგადოებას, ძალზედ მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პროფესიონალების ცოდნის უწყვეტი განახლება დიაბეტის მართვის კუთხით, რაც ხელს შეუწყობს დაავადების მართვის ხარისხის გაუმჯობესებას და მძიმე შედეგების თავიდან აცილებას.

კურსი ძირითადად ეხება ტიპი 2 დიაბეტის მართვას პირველად ჯანდაცვაში. ტიპი 2 დიაბეტის მქონე პაციენტები საჭიროებენ მკურნალობას, რეგულარულ მონიტორირებას და მართვას, რათა შენარჩუნდეს გლიკემიის ციფრების სამიზნე მაჩვენებლები, თავიდან იქნას აცილებული დიაბეტის მწვავე თუ გრძელვადიანი გართულებები. ამ მიზნით აუცილებელია, რათა პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს ჰქონდეთ უახლესი მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია დიაბეტის მართვასთან დაკავშირებით და რეგულარულად ხდებოდეს მათი ცოდნის განახლება.

წარმოდგენილი უპგ კურსი ეყრდნობა დიაბეტის სფეროში უკანასკნელ წლებში მიღებულ უახლეს ავტორიტეტულ საერთაშორისო წყაროებს, მასში ნათლად არის წარმოდგენილი პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტიპი 2 დიაბეტის მართვის ყველა ასპექტი, დაწყებული პრევენციული სკრინინგიდან, დამთავრებული გართულებების მართვით, რეფერალით და ჰოსპიტალიზაციის შემდგომი მეთვალყურეობით.

ონლაინ კურსის შინაარსი წარმოდგენილია საინტერესოდ, ვიზუალურად მარტივად აღსაქმელი ფორმით, მოიცავს კლინიკური შემთხვევების და პრაქტიკული სავარჯიშოების განხილვას. შეფასების პრე- და პოსტ-ტესტები საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მსმენელის მიერ მიღებული ცოდნა.

თავად სასწავლო კურსის სტრუქტურა და ონლაინ ფორმატი მეტად ხელმისაწვდომს ხდის მას სამედიცინო პროფესიონალებისთვის და უზრუნველყოფს დიდი რაოდენობით მედპერსონალის გადამზადების შესაძლებლობას.

სასწავლო კურსში დეტალურად არის განხილული შაქრიანი დიაბეტის სკრინინგის, დიაგნოსტიკის, საწყისი შეფასების, მკურნალობისა და რეგულარული მეთვალყურეობის საკითხები. ასევე, აღსანიშნავია, რომ კურსი მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა დიაბეტური გადაუდებელი მდგომარეობების მართვა და ჰოსპიტალიზაციის შემდგომ გამოწერილ პაციენტებზე მეთვალყურეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კურსის ჩატარება განსაკუთრებით აქტუალურია მომავალი პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ჭრილში, სადაც შაქრიანი დიაბეტის მართვა შედის იმ პრიორიტეტული დაავადებების ჩამონათვალში, რომელთა მართვის ხარისხზე მიბმული იქნება გარკვეული სამოტივაციო მექანიზმები. შესაბამისად, მეცნიერულად დასაბუთებული, უახლესი ინფორმაციის გაცნობა პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის ხელს შეუწყობს მათი ცოდნის, უნარ-ჩვევების და მიდგომების გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, პირდაპირ აისახება ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვის ხარისხზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებითად აფასებს წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო მოდულს „შაქრიანი დიაბეტის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ და რეკომენდაციას უწევს ექიმთა პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

პატივისცემით,

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა
კავშირის პრეზიდენტი